

სკოპინგის დასკვნა N71

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობა და ექსპლუატაცია ;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაიში;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 06.11.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ, წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაიშში მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაიშის თემის მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 42.16.44.835, 42.16.44.831, 42.16.44.826). მონაცემთა გადამოწმებით ნაკვეთების ჯამური ფართობია 7882 მ². აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 1290 მეტრით (სოფ. სკორმეთი). საპროექტო არეალიდან დაახლოებით 50 მეტრში მდებარეობს მდ. ენგური. ტერიტორიას ესაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზა (გზის ნიშნული დაახლოებით 529÷530მ ზღვის დონიდან, ქვესადგურის არეალის სიმაღლე 534-536 მ ზღვის დონიდან), საპროექტო დერეფანი ასევე კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ-ს (ხუდონი(ხაიში)-ლიხამურა: ს/კ 42.00.040).

500/110/35/10 კვ ქვესადგური „იდლიანი 500“-ის პროექტის განხორციელება დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მშენებარე და პერსპექტიული ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვის მიზნით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობისა (ნულოვანი) და ქვესადგურის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ორი ალტერნატიული ვარიანტის ურთიერთშედარების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ურთიერთშედარების საფუძველზე უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატივას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დახურული (GIS) ტიპის 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა. ქვესადგურის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს ორი შენობა, საიდანაც პირველი გათვალისწინებულია 110 კვ დახურული ტიპის ქვესადგურის (GIS) მოწყობილობებისთვის, 35 კვ და 10 კვ მოწყობილობებისათვის, საკონტროლო და მართვის ფარისთვის და სამორიგოსთვის. მეორე შენობა გათვალისწინებულია 500 კვ მოწყობილობებისათვის. შენობებს შორის ღია სივრცეში განთავსებული იქნება ტრანსფორმატორები (ოთხი 89 მგვა 500/110/10 კვ და ორი სამგვა 63 მგვა 110/35/10 კვ), ასევე სამი ცალი 500 კვ. რეაქტორი (500 კვ მოწყობილობების შენობის გვერდზე) და რეაქტორების მოპირდაპირედ მოწყობილი იქნება ზეთშემკვრები ჯა. ქვესადგურის ტერიტორიაზე ასევე იქნება ხანძარსაწინააღმდეგო რეზერვუარი, სატუმბო სადგური, დიზელ გენერატორი, სარკველების კამერა, საკაბელო მიწისქვეშა არხები, საოპერატორო შენობა და საპარკინგე ტერიტორია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვესადგურში შევა არსებული ეგზ - „კავკასიონი-500“-ს, ხოლო არსებული „ჯვარი-500“-ის ეგზ იქნება გამავალი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამომავლოდ ქვესადგურში ჩართული იქნება მდ. ენგურის ხეობაში მოქმედი და დაგეგმილი ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისათვის გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზები. ქვესადგურში შესვლა-გამოსვლისათვის საჭირო აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზებიგაივლიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს დამოუკიდებელი პროექტების სახით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის სამშენებლო ეტაპებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ქვესადგურის მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება ამწე (მათ შორის ტელეკოპური ამწე, ამწე კალათი), ექსკავატორი, ბულდოზერი, თვითმცლელი, 5 მ³/სთ წარმადობის ბეტონის მობილური დანადგარები „ფიორი“, ბეტონის ტუმბო და დამტვირთველი. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკისათვის ტერიტორიის გამოყენება არ იქნება გათვალისწინებული, ამისათვის გამოყენებული იქნება სამშენებლო მოედნის ის უბანი, სადაც არ არის გათვალისწინებული ქვესადგურის ნაგებობების მოწყობა. ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 8-10 თვეს, სადაც დასაქმებული იქნება 25-30 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 365 დღეს (ერთ ცვლიანი სამუშაო რეჟიმით) და დასაქმდება 8-

10 ადამიანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვესადგურის მშენებლობისას ბეტონის ხსნარის შემოტანა მოხდება შესაბამისი საწარმოებიდან, ხოლო მცირე მოცულობის სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია ორი ერთეული ბეტონის მობილური დანადგარის (წარმადობით 5მ³/სთ) გამოყენება. ინერტული მასალების შემოტანა მოხდება სხვა იურიდიული პირების ლიცენზირებული კარიერებიდან. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი (შ7) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სიახლოვეს, შესაბამისად ახალი მისასვლელი გზების მოწყობა არ არის დაგეგმილი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული გრუნტის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 11000მ³, საიდანაც უკუყრილის სახით გამოყენებული იქნება 3500მ³. შესაბამისად, სანაყაროზე მუდმივად დასაწყობდება დაახლოებით 7500 მ³ მოცულობის ფუჭი ქანები. სანაყაროსთვის შერჩეულია ქ. ჯვარის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23798 მ² ფართობის მქონე ტერიტორია (ს/კ 47.14.35.008). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ფუჭი ქანების რაოდენობა წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები, რომელთა მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიიდან გატანილი იქნება სამშენებლო ნარჩენები და ტერიტორიაზე განხორციელდება სარეკულტივაციო სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდება მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და მათი მართვის საკითხები, მათ შორის განისაზღვრება რა რაოდენობის გრუნტი დაექვემდებარება მუდმივ დასაწყობებას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქვესადგურის მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია როგორც სასმელ-სამეურნეო, ასევე ბეტონის ხსნარის მოსამზადებლად, ამტვერების საწინააღმდეგოდ და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. სასმელი წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ბუტილირებული სახით მტვრის გავრცელების საწინააღმდეგოდ სამშენებლო მოედნების ზედაპირების დასანამად და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა შეადგენს 250-300 მ³/წელ. სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული იქნება 5 მ³/სთ წარმადობის მობილური ბეტონის დანადგარი, რისთვისაც საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 1352 მ³/წელ. ანგარიშის თანახმად, ბეტონის დანადგარის ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების (333.45 მ³/წელ) შესაგროვებლად სამშენებლო მოედანზე მოწყობილი იქნება 10 მ³ ტევადობის ჰერმეტიკული სეპტიკური რეზერვუარი (ორმო), რომელიც განიტვირთება სპეციალური საასენიზაციო მანქანით, ხელშეკრულების საფუძველზე. ვინაიდან, სამშენებლო

მასალების განთავსება დაგეგმილია ფარდულის ტიპის გადახურულ ნაგებობებში, მინიმალურია დაბინძურებული სანიაღვრე წყლების წარმოქმნის რისკი. რაც შეეხება ქვესადგურის ექსპლუატაციის ეტაპს, წყლის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის დროს საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვა მოხდება 10 მ³ ტევადობის ჰერმეტიკული სეპტიკური რეზერვუარის საშუალებით, რომლის განტვირთვა მოხდება პერიოდულად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება, წყალამრიდი არხების და სადრენაჟო სისტემის ტექნიკური პარამეტრები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკები არ იქნება მაღალი, თუმცა მიმდებარე ფერდობიდან არსებობს ქვათაცვენის და თოვლის ზვავის გარკვეული საშიშროება. ქვესადგურისთვის განკუთვნილი ტერიტორია არ არის მიდრეკილი ზვავსაშიშროებისკენ. საპროექტო ტერიტორია დაუცველია პოტენციური ქვაცვენის მიმართ, რომლებიც წარმოიქმნება უბნიდან გამომავალი ფერდობებიდან. ამიტომ, პროექტის განლაგების უმეტესი ნაწილი უნდა ჩაითვალოს ქვაცვენის საშიშ ზონად, რისთვისაც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. დამცავი ნაგებობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემული იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის და ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების პროცესთან, დამხმარე დანადგარ-მოწყობილობების მუშაობასა და მიწის სამუშაოებთან. სტაციონალური წყაროებიდან სამშენებლო მოედანზე დაგეგმილია წარმადობით 5 მ³/სთ მობილური ბეტონის დანადგარის მოწყობა, რაც მავნე ნივთიერებების მნიშვნელოვან ემისიებთან და ხმაურის გავრცელების მაღალ დონეებთან არ იქნება დაკავშირებული. ხოლო, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და ხმაურის გავრცელების რისკები შესაძლოა დაკავშირებული იქნას სარემონტო/პროფილაქტიკური სამუშაოების წარმოებასთან. წარმოდგენილი ინფორმაციით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით პროგრამული მოდელირება წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის შედეგად ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ანგარიშის თანახმად, უშუალოდ საპროექტო

ტერიტორიაზე მცენარეული საფარის გარემოდან ამოღებას ადგილი არ ექნება. წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო არეალში დაფიქსირდა 30 სახეობის ძუძუმწოვარი, 20 სახეობის ხელფრთიანი, 90 სახეობის ფრინველი, 15 სახეობის ქვეწარმავალი და ამფიბია, ასევე 500-ზე მეტი სახეობის მოლუსკები და სხვადასხვა სახის უხერხემლოები. საპროექტო ტერიტორიებზე და მის შემოგარენში გავრცელებულ სახეობებზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამუშაოების წარმოების პროცესში ხმაურთან და ვიბრაციასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის, ზურმუხტის ქსელისა და დაცული ტერიტორიის, ასევე ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების (Special protection areas) და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების (Important bird areas – IBA) საზღვრებში. ამასთან, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მანძილი ზურმუხტის ქსელის ტერიტორიამდე (GE0000021 Samegrelo) შეადგენს 2.1. კმ-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო არეალში არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე პირდაპირი სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე განთავსება. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით, ასევე ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა 2024 წლის 3 დეკემბერს მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, შპს „გამა კონსალტინგის“, მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: სოციალურ-ეკონომიკურ და საკომპენსაციო საკითხებს, ასევე მაღალი ძაბვის კაბელების ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას და მასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას, რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „გამა კონსალტინგის“ და სს „საქართველოს

სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა;
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;

- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება. მათ შორის საკადასტრო კოდების, ფართობების, GPS კოორდინატების მითითებით, პროექტის Shp ფაილებთან ერთად;
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებულ პუნქტამდე და ზედაპირული წყლის ობიექტამდე, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ქვესადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების აღწერა;
- დაგეგმილი საქმიანობის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით;
- დაზუსტებული მონაცემები დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრეების, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი შეთანხმება;
- ქვესადგურის ტექნიკური პარამეტრების და ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წყლის გამოყენების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი;
- საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ქვესადგურიდან საპოხი მასალების დაღვრის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ზემოქმედების არეალში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის სამშენებლო მოედნის/მოედნების და სანაყაროს/სანაყაროების, შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით, მათ შორის გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო სამუშაოების ვადების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროს/სანაყაროების) შესახებ დეტალური ინფორმაცია სანაყაროს/სანაყაროების ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით. დასაბუთებული უნდა იყოს სანაყაროს/სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები;
- ფუჭი ქანების დასაწყობების პროცესში სანაყაროს/სანაყაროების სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარების საჭიროების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო, სამშენებლო მოედნის/მოედნების შესახებ, დაზუსტებული ადგილმდებარეობის (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), ფართობისა და განსათავსებელი ობიექტების შესახებ ინფორმაცია, გენ-გეგმისა და შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით. შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა;
- სამშენებლო მოედნის/მოედნების ტერიტორიაზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის/ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ.

5.2 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;

- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

5.3 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გზშ-ის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილ „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილ და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ ფლორისა და ფაუნის სახეობებს აგრეთვე ჰაბიტატებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას სათანადო პრევენციული/საკომპენსაციო ღონისძიებები;
- ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების სრულფასოვანი პრევენციის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე უნდა განისაზღვროს დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები. გარდა ამისა, უნდა მომზადდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა (ან შესაბამისი საკითხები აისახოს ერთიან მონიტორინგის გეგმაში), სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. გეგმაში უნდა აისახოს ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით), მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ამსახველი დეტალური ინფორმაცია, სათანადო პრევენციული ქმედებების აღწერით.

6. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის

(მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები);
- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება; სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით) შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე. დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების, მათ შორის საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული საკითხების გათვალისწინების შესახებ;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირისა და მეთოდის მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები; გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში, აღნიშნულია რომ „საჭირო ინერტული მასალების შემოტანა მოხდება სხვა იურიდიული პირების ლიცენზირებული კარიერებიდან“. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული მომწოდებლების შესახებ ინფორმაცია (ადგილმდებარეობის მითითებით);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ქვესადგურის განთავსების ტერიტორიის ფართობის შესახებ, კერძოდ შესავლის თავეში აღნიშნულია, რომ „ქვესადგურის მოწყობა დაგეგმილია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, საკადასტრო კოდებით 42.16.44.835 (ფართობი 7628 მ²), 42.16.44.831 (ფართობი 21 მ²) და 42.16.44.826 (ფართობი 233 მ²),“ თუმცა 3.1 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „პროექტის მიხედვით, ქვესადგურის ინფრასტრუქტურის

განთავსება დაგეგმილია 9519 მ² ფართობის ტერიტორიაზე“. გარდა ამისა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 7882 მ²-ს. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ფართობი საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ტექნიკური მიზნებისათვის დაგეგმილია მდ. ენგურის წყლის გამოყენება“, თუმცა მითითებული არ არის წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები და გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა (დღეში, თვეში, წელიწადში), რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი ქვესადგურში ეგზ-ების დაერთების („შესვლა-გამოსვლის“) საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 500/110/35/10კვ ქვესადგური იდლიანი იქნება დახურული (GIS) ტიპის ქვესადგური. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური აღწერა დახურული ტიპის (GIS) ქვესადგურის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული ჩანჩქერების (იდლიანის ჩანჩქერი 321 მ, დოგს ჩანჩქერი 557 მ) შესახებ ინფორმაცია, რაც გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის ცხრილში 3.1.1, მოცემული საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები და Shp ფაილები არ არის ზუსტ შესაბამისობაში, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო დერეფანი კვეთს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ-ს (ხუდონი (ხაიში)-ლიხამურა:ს/კ 42.00.040). შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ფერდობიდან არსებობს ქვათაცვენის საშიშროება, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნულია, რომ დამცავი ნაგებობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემული იქნება გზშ-ს ანგარიშში, რაც საჭიროებს გათვალისწინებას;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად მის გარემოდან ამოღებას ადგილი არ ექნება. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით საპროექტო ტერიტორიაზე შეინიშნება ხე-მცენარეული საფარი, ხოლო საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებისას დაფიქსირებულ იქნა მოჭრილი მორები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ფოტომასალის მითითებით);
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილხითან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;

- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქვესადგურს გააჩნია 3 ცალი 500კვ, 3 ცალი 110 კვ და 9 ცალი 35კვ შემავალი სახაზო უჯრედი“ საჭიროებს განმარტებას;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, რეაქტორების მოპირდაპირედ მოწყობილი იქნება ზეთშემკრები ჭა. ამასთან, საპროექტო ქვესადგურის გენერალურ გეგმაზე (ნახაზი 3.2.1) მითითებულია ორი ზეთშემკრები რეზერვუარი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზეთშემკრები ჭის/რეზერვუარის რაოდენობა და განთავსების ადგილმდებარეობა (გენ-გეგმაზე მითითებით). გარდა ამისა, ქვესადგურის ტერიტორიაზე განსათავსებელი ინფრასტრუქტურის/ობიექტების შესახებ ტექსტური ინფორმაცია ასევე არ არის თანხვედრაში გენერალურ გეგმასთან, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- საპროექტო ტერიტორია მდ. ენგურის ნაპირიდან დაშორებულია 50 მ-ით. ტერიტორიასა და მდინარეს ყოფს ზუგდიდი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზა და სიმაღლით ნიშნულებს შორისაც მნიშვნელოვანი (5-6 მ) სხვაობაა. მიუხედავად ამისა, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნული უნდა იყოს ქვესადგურის უსაფრთხო ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია, ასევე სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ზვავშემკრების გარდა, გასათვალისწინებელია სამხრეთ-დასავლეთით მიმდებარე ზვავშემკრების არსებობა, რომლის აბსოლუტური სიმაღლე დაახლოებით 2000 მ-ია. ზვავსაშიშროების დეტალური კვლევის შედეგად რისკის დონის განსაზღვრის შემდეგ საჭიროა დაიგეგმოს შესაბამისი, ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.